№ 139. 2 ივლისი, ოთხშაბათი 1866—1880 2 ივლისი, ოთხშაბათი № 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მეიდანზე, შუასაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რეუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверіи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით სტრიქონზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

---

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ხუთი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(„ხალხთა-შორის სააგენტოსი“)

**პარიჟი**, 29 ივნისს. ოფიციალურს ჟურნალში დაბეჭდილია ბრძანება, რომლის ძალითაც უნდა სრულიად განთავისუფლებულ იქმნან ყველა გასამართლებულნი 1870—1871 წ. აჯანყებისათვის და მას შემდეგ ადრეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის. ვინც ამ ბრძანების ასრულებას დააბრკოლებს, დასჯილი იქმნება.

**სტამბოლი**, ჯაში-ოსმან-ფაშა სასახლის სეფეთ-უხუცესად დარჩება.

**ლონდონი**, 30 ივნისს. ბრძანება გამოცემულია, რომ ინგლისის ფორტები, რომელნიც ქაბულის იროგვლივ არიან დანგრეულ იქმნან. „Times“-ის აზრით ოსმან-ფაშის სამსახურიდამ გამოსვლა ამტკიცებს, რომ ხონთქარი მაინცა-და-მაინც არ აშირებს თავგაწირულად ევროპის ნების წინააღმდეგობას.

**პეტერბურღის ბირჟა**, 29 ივნისს

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 94 | 25 |
| მეორესი — — — — — | 92 | 08 |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 91 | 08 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 91 | 25 |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი — — | 7 | 76 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 228 | 25 |
| მეორე სესხის — — — | 223 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 56 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 218 | 25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 268 | 75 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

---

## სკოლა და მაგალითი

ტფილისი, 1 ივლისს.

ჩვენდა-სამწუხაროთ, ჩვენი ქვეყანა ისე ღარიბია, ან ისა სჯობს ესთქვათ, უქონელია სამეურნეო სასწავლებლისა, რომ გავარდება თუ არა ხმა ამადა-ამ ალაგას აპირობენ ამ გვარის სასწავლებლის გახსნას, მაშინვე „იმედთა-გროვა“ გაგვიელვებს თავში და რაც უნდა ნაკლებულობა ჰქონდეს ჩვენ მეურნეობას, წამალს ამ სკოლისაგან მოველით: „ჩვენს ვენახებს ნაცარი ახდენს—ახალს სამეურნეო სკოლაში ასწავლიან გოგირდის ხმარებას; კალია გვახდენს—ახალს სამეურნეო სკოლაში ასწავლიან კალიის გაწყვეტას; საქონლის მოვლა არ იცის ხალხმა—ახალს სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საქონლის მოვლას.“

ამ იმედებით გატაცება ისე ტკბილია, რომ ჩვენც გუშინდელს მოწინავე სტატიაში სხვათა შორის, ამ იმედზედ დავემყარეთ, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა ცხვრის მოშენებისა და მისის ნაწარმოების სარგებლობის ჯაუმჯობესობაზედ.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ ნათქვამი, რომ ამ საზოგადოების კომმისია არის წასული ქართლში ალაგის მოსაძებნათ, სად უფრო მარჯვედ მოხერხდება ახალის სამეურნეო სკოლის გამართვაო.

ნათქვამია: „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“ და ჩვენც გუშინდელი იმედები ხავსათ გადაგვექცევა, თუ ამ საზოგადოებამ ისეთისავე სკოლით დაგვასაჩუქრა, როგორიც იყო იმ საზოგადოებისაგანვე გამართული ლოჭინის სკოლა; მაგრამ კუც კი ნელის ნაბიჯით წინ მიდის და ამ საზოგადოებას რა დაემართება, რომ უწინდელის მაგალითით ჭკუა არ ისწავლოს და არ ეცადოს, რომ ახალი სკოლა სხვა უკეთესს საფუძველზედ დააარსოს.

ჩვენ აქ შორს გაგვიტაცებს იმაზედ ლაპარაკი, როგორ არიან მაგ. საფრანგეთში გამართულნი სამაგალითო სამეურნეო სკოლები. დაწვრილებით ამაზედ კაცმა დიდს, ვრცელს და არა გაზეთის სტატიაში უნდა მოილაპარაკოს. აქ გაკვრით ვიტყვით მხოლოდ, რომ სამეურნეო სკოლა და მისი არე-მარე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი უნდა იყოს; ყოველს ჩვენს უმთავრესს წარმოებას ამ სკოლაში თავისი ალაგი უნდა ჰქონდეს; სკოლას უნდა ჰქონდეს რასაკვირველია სახნავ-სათესი მამული, ვენახი, ხილის ბაღი, ბოსტანი; ჰყავდეს სხვადა-სხვა საქონელი, სხვა-და-სხვა ჯურისა.

თუ ამ სკოლაში ბავშვებიც ჩვენის საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილებიდამ იქნებიან მოგროვილნი და სამეურნეო სწავლაც წესიერად იქნება ფეხზედ დაყენებული, მაშინ ეს სწავლა ოცისა და ორმოცის ბავშვის შემწეობით თითქმის მთელს ჩვენს მხარეს მოეფინება; მაშინ ამ სკოლის შეგირდების შემწეობით შეიძლება ნელ-ნელა ამოიფხვრას ის ნაკლულევანებაც, რომელიც ცხვრის მოშენებასა და მისის წარმოებით სარგებლობასა სჭირს და რომლის თაობაზედაც ჩვენ გუშინ ეს ბაასი დავიწყეთ.

---

## ფელეტონი

### უბედურ კაცს ქვა აღმართზედ მიეწევა.

(ნათარგმნი)

ბინიარსა და იმის ცოლს ძალიან უყვარდათ ერთმანერთი და მარტო ერთად-ერთი წადილი ჰქონდათ—ვაჟი-შვილი ჰყოლოდათ. პაწაწამაც თითქო იგრძნო დედ-მამის სურვილი და უდროვოდ დაიბადა; ამის გამო დედა მშობიაროობაზედ გარდაიცვალა და მამამაც ნაღვლისაგან თავი ჩამოიხრჩო.

—

კონსტანტინე ბინიარის ყმაწვილობა სამაგალითო და საუბედურო იყო. სასწავლებელში უსამართლოდ სჯიდნენ და ისიც ყველას მაგიერ ცემატყეპას იტანდა და ეგზამენების დროს ავათა ხდებოდა. უმაღლეს სასწავლებელში სწავლას რომ ათავებდა, დააწერინეს ლათინური თხზულება. ერთმა იმის გვერდზედ მჯდომმა გადასწერა ამის თხზულება, უჩვენა პროფესორებს და ამათაც ამ თხზულებისთვის სამეცნიერო ხარისხი მისცეს; კონსტანტინე ბინიარი კი დიდი სირცხვილით გამოაგდეს, რათ მოგვატყუილე და სხვისი თხზულება შენათ რათ გვიჩვენეო. ამის შემდეგ იმას დასჩემდა ცუდი სახელი; უძახდნენ პირ-მოთნეს, ზარმაცს და კრიჭანგს კაცს.

—

სხვა კაცი რომ ყოფილიყო, გაბრაზდებოდა, მაგრამ კონსტანტინე ბინიარს მტკიცედ სჯეროდა რომ ბედნიერება არის ჯილდო კეთილის საქმისა და უნდოდა თავის ვაჟ-კაცობით უწყალო ბედი დაემარცხებინა.

მიებარა ერთს სავაჭრო სახლში, მაგრამ მეორე დღესვე ეს სავაჭრო სახლი დაიწვა. ბინიარს შეეცოდა თავ-ზარ დაცემული პატრონი და შევარდა შიგ შუაგულ ცეცხლში, რომ როგორმე დაეხსნა იმის ფული. თმები აეტრუსა ცეცხლისაგან, ტანი დაუსივდა და მაინც თავ-დაუზოგველად მოასწრო სკივრის გატეხა და ფულის ამოღება. მაგრამ ეს ფული ცეცხლმა ხელში ფერფლად უქცია. თითონაც ძლივს დააღწია თავი. გამოვარდა თუ არა, მსწრაფლად პოლიციელებმა სტაცეს ხელი; ერთი თვის შემდეგ გადაუწყვიტეს ხუთის წლით ციხეში ჩასმა, რადგან ცეცხლის დროს არეულობაში უნდოდა მოეპარა და დაეჩემებინა სხვისი ფული, რომელიც იმისთანა სკივრში ეწყო, რომ ცეცხლი ვერაფერს დაუშავებდაო.

—

ციხეში, სადაც ბინიარი დაჭერილი იყო, მოხდა არეულობა: ბინიარმა მოინდომა როგორმე დაეხსნა ზედამხედველი გაჭირებისაგან და ფეხი წამოუდო: ზედამხედველი წაიქცა და აჯანყებულებმა სასიკვდილოთა სცემეს. ამ საქმისთვის კონსტანტინე ბინიარი ოცი წლით გადაჰკარგეს კაიენში.

მაგრამ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ის უბრალოდ დასაჯეს, გამოიქცა იქიდამ, დაბრუნდა სამშობლოში და დაირქვა სხვა სახელი; იმის უბედურებას ბოლო მოეღო და ხელი მიჰყო კეთილ საქმეებს.

—

ერთხელ, დღესასწაულ დღეს, ბინიარმა დაინახა რომ გაგიჟებული ცხენი კარეტას მოაქანებს თავ-დაღმართზე და ხევში უპირებს გადაჩეხას. მსწრაფლად გადუდგა ცხენს წინ და თუმცა ხელიც ილრძო, ფეხიც მოიტეხა, გვერდის წიბოებიც დაიშავა, მაინც როგორც იყო გადაარჩინა კარეტა დაღუპვისაგან. ცხენმა გზა იცვალა, გაექანა მეორე მხარეს, სადაც ხალხი ჯგუფად მოგროვილი იყო და იქ ქვეშ მოიდო ერთი ბერიკაცი ორი დედა-კაცი და სამი ყმაწვილი. ამ გადარჩენილ კარეტაში კი არავინ იჯდა, ცარიელი ყოფილიყო.

—

ამ შემთხვევამ კონსტანტინე ბინიარს ხალისი დააკარგვინა და ხელი აალებინა მამაცურ საქმეებზე. გადასწყვიტა რომ თავის სიცოცხლეს სულ

ეროვნული [illegible]

ზოგიერთნი ამბობენ, თუნდა ერთმა-ორმა ისწავლოს კიდეც, მაინც ისინი თავიანთის მაგალითით უმეცარს ხალხში ვერას იზამენ; ჩვენი ხალხი კარგს მაგალითს თავის დღეში არ აჰყვებაო.

ამ უსაფუძვლო საბუთის უსაფუძვლო საბუთითვე გამტყუნება არას ეგვანება, ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ერთს მაგალითს:

ყველამ იცის რომ უწინ ხეხილის გაჩენა უფრო ფრინველის საქმე იყო, ვიდრე კაცისა; შესჭამდა ფრინველი მწიფე ხილს, კურკას სადმე უალაგოალაგას ჩააგდებდა და თუ ამოვიდოდა ხე, იზდებოდა ღვთის სინაბარას.

უკანასკნელს დრომდე რიგზედ ხეხილის გაჩენას არავინა სცდილობდა. ერთმაორმა შემოიღო პლანზედ ხეხილის ჩაყრა და ხალხმაც რომ ნახა ხეხილისთანა სარგებლობა სხვა წარმოებას ძვირათ მოაქვს, მიჰყო ხეხილის გაჩენას ხელი.

ერთი ხეობა ვიცით, რომელიც ამ გვარის მაგალითის წყალობით ათსოცს წელიწადს სულ ხეხილით გაივსო და თუმცა ამ ხეობას ორსავ მხარეს შემოხვეული მთები უწყალო გაკაფვის გამო ტყეებს გამოესალმნენ და ზაფხულის დღეში გაშიშვლებული, გატრუსულებილა მოჩანან, ხეობაში სხვა ხეხილის ტყე გაჩენილა.

მოდით და ამის შემდეგ ნუ ჩავაჩუმებთ იმათ, რომელნიც იძახიან, ჩვენი ხალხი კარგს მაგალითს არ გადიღებსო.

## ახალი ამბები

—

ეს არის ეხლა შევიტყეთ შემდეგი ამბავი: სამეურნეო საზოგადოებისაგან გაგზავნილს კომმისიას ახალის სამეურნეო სკოლისთვის ამოურჩევია ქართლში ს. მეღვრეკისი, მდებარე ს. ცხინვალის ახლო.

ეს სოფელი უწინ საეკკლესიო იყო და მთელი მისი შემოსავალი ბერძნის ბერებს მიჰქონდათ; ეხლა კი, რაც მთავრობამ სასულიერო წოდებას ფული გადაუხადა, ესა და სხვა საეკკლესიო სოფლები სახელმწიფოთ დარჩნენ.

კომმისიას უმთავრესად ის მიუღია მხედველობაში, რომ ამ სოფელში კარგა ბლომად ადგილი მოიძებნება ერთიანი ფერმისათვის (ექვსას დღიურამდე) და ჰავაც მშვენიერია.

ამას გარდა ამ სოფელს ბაზარიც არა აქვს შორსა და ამასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ახალის სკოლისათვის.

* * *

ზაქათალიდამ გვწერენ: საშინლათ გახშირდა ქურდობა; ღამე არ გავა, რომ ან ცხენი, ან ხარ-კამბეჩი არ მოიპარონ; თუმცა კომლზედ თითო აბაზს ვიღებთ და ღამის ცხენოსანს ყარაულს (ოღრი-ბეგებს) ვინახამთ, მაგრამ ამ ოღრი-ბეგებმა უარესათ დაგვყვლიფეს. ამბობენ, ეს ოღრი-ბეგები არიან ქურდობის თავიო და დასაჯერებელიც არის, რადგან თითქმის ყველა ეს ყარაულები ნაციმბირალები არიან.

* * *

იქიდამვე გვატყობინებენ: ამ ზამთარს, როდესაც თალარი ქერი ორს თუმნადა ღირდა, ურემი თივა თუთხმეტი მანათი და ურემი ბზე თუმანი, წინანდელმა კახის მაზრის უფროსმა ბ. ბოღუსლავსკიმ წაიღო სოფელს შოთევრიდამ და ყოროღნიდამ 15 თალარი ქერი, 3 ურემი თივა და 3 ურემი ბზე, რომლის ფული უნდა მიეცა, მაგრამ დღესაც გარბის.

არ ვიცით რა ვუყოთო; გულშემატკივარი ჩვენ არავინა გვყავს და სასამართლოს კარები ჩვენთვის დახშულია უცოდინარობით.

* * *

გაზეთს „კავკაზს“ ატყობინებენ შემდეგს ამბებს: განჯის გუბერნიაში კალია სრულიად გაუწყვეტიათ და მუშები დაუთხოვნიათ. გაცხარებული მკაა.

* * *

წრეულს ორი-ათასზედ მეტი სული გადასახლდა ბათუმის მაზრიდამ ოსმალეთში.

* * *

თელავის თავად-აზნაურთა კრებაზედ, როდესაც სკოლის შესაწევარის თაობაზედ იყო ლაპარაკი, პირველში არ ეტყობოდათ სურვილი ამ შესაწევარისა, მაგრამ თ. ალ. ჩოლაყაშვილის სიტყვის შემდეგ ეს სურვილი ყველამ ერთხმათ გამოაცხადეს. ბევრმა სხვა წოდებისამაც ისურვა ამ შესაწევარის კისრად აღება სამუდამოთ, მაგრამ კრებას არ შეეძლო მათი მიღება კანონის ძალით.

* * *

გაზეთს „ობზორში“ სემინარიის ერთი მასწავლებელთაგანი ცდილობს გაამართლოს სემინარიის მმართველობა იმ საქმის თაობაზედ, რომ წრეულს რვა საუკეთესო შეგირდში ამ მმართველობამ არც ერთი არ იცნო ღირსად სასულიერო აკადემიაში გაგზავნისა. ეს მასწავლებელი (ბ. ბოგოიავლენსკი) ამბობს, თუმცა ამ შეგირდებს შეესვლებათ სასულიერო აკადემიაში, მაგრამ სახემწიფო ხარჯზედ კი ვერ გავბედეთ გაგზავნა „ვაი თუ ეგზამენი ვერ დაეჭირათო“.

ნეტავი ვიცოდეთ ბ. ბოგოიავლენსკის უფრო აქვს ნება ამ შემთხვევაში „ვაი თუს“ თქმისა, თუ იმას, ვინც ბ. ბოგოიავლენსკის მასწავლებელი იყო, უფრო შეჰფეროდა თქმა, „ამის სწავლებაზედ რომ არ ვიხეთქამდე თავს ის ემჯობინება [illegible] ხეირიანი მასწავლებელი არ გამიდგესო!“

* * *

გაზეთს „გოლოსს“ ატყობინებენ, რომ მალე გათავდება გამოძიება ქრთამების აღებისა და ხაზინის გაქურდვის თაობაზედ ატეხილის საქმისა, როდესაც შარშან-წინ ლეკების აღელვების დროს მილიცია გროვდებოდა. ამ საქმეზედ ბევრს ლაპარაკობენ, რადგან მასში ბევრი წარჩინებულის გვარის პირნი არიან გარეულნი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**სიღნაღი, 26 ივნისს.** *) თავის მტვრევა და ღვთის რისხვა ყოფილა თბილისიდამ სიღნაღში ფოჩტით წასვლა!

სტანციებზე მსახურთავან უმიზეზოთ ლანძღვა-გინება მგზავრებისა; უზდელად ქცევა მათთან: უკანონოთ გაჩერებაზე რამდენსამე ხანს, ზოგჯერ ერთ-ორს დღესაც; ცხენების სრული უვარგისობა, სიმჭლექე, დონკიხოტის რაშის მზგავსება; სტანციების ბინძურობა, სიმყრალე და ბოლოს უვარგისი ადამის-ხნის გზა — ყველა ეს იქონიე სახეში მგზავრო და დიდის სიფრთხილით გაუდეგი იმ გზას, რომელიც სიღნაღსა და თბილისს შუა იწყობება. ლანძღვა-გინებაზედ ბევრი იყო დაბეჭდილი „დროებაში.“

ყველა ეს კიდევ არაფერი, ბატონებო, ამას კიდევ კაცი აიტანს, მაგ-

*) ეს გვგონია, მეოცე კორრესპონდენცია მოგვდის სიღნაღის ფოშტის გზის ურიგობასა და უწესოებაზედ. რით ვერ გაიგეს, ვისაც ამის გაგება ვალათა სძევს, რომ სტანციები და იმის ზედამხედველები მგზავრებისთვის არიან დანიშნულნი და არა მგზავრები მათთვის.

რედ.

---

მთლად შესწირავს უცნობ ტანჯულებს და ეცდება იმათ ნაღველსა და უბედურებას შვება მისცეს. იმ ფულებით, რომელსაც აძლევდა საწყალ მუშა დედა-კაცებს, იმათი ქმრები დუქნებში ითვრებოდნენ. მატყლის მოქსოვილი წინდები დაურიგა მუშებს, რომელნიც დაჩვეულნი იყვნენ სიცივეს და ამით გაუჩინა სხვა-და-სხვა ავათმყოფობა; ერთს მაწანწალა ძაღლს თავის სახლში ბინა გაუჩინა, მაგრამ მალე ცოფი გამოაჩნდა, უკბინა ამავე სახლში მდგმურებს, ექვსს კაცს; ერთის თავის ნაცნობ ყმაწვილის მაგიერთ ზინიარმა ჩააყენა რეკრუტი სამხედრო სამსახურში და ამ რეკრუტმა მტერს ციხის გასაღები მიჰყიდა.

—

კონსტანტინე ზინიარი დარწმუნდა, რომ ფულს ბოროტობა უფრო მოსდევს, ვიდრე სიკეთე: ჰსჯობს, ერთს ვისმეს ხელი გაუმართო, ვიდრე ბევრს მივწვდე და არა გამოვიდეს-რაო; აიყვანა გასაზრდელად ერთი საწყალი ობოლი ქალი, სახით გონჯი, მაგრამ საგანგებო ნიჭისა. ამას ვაუწია ჩჩვილი და კეთილი მამობა. ზინიარი ისე ყურადღებით, ისე თავ-შეწირვით, ისე კეთილად ეკიდებოდა ამ ქალს, რომ ეს ქალი ერთს საღამოს ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა და გამოუცხადა თავის სიყვარული. ზინიარმა დაუწყო დარიგება, უთხრა რომ შენ ისე გიყურებ, როგორც ჩემს ნამდვილს შვილსაო და შენ ადვილად შეგიძლიან მაგისთანა განსაცდელს წინ-აღუდგეო. მამობრიულად აუხსნა, რომ ის შემცდარია და დაჰპირდა, რადგან ბუნება სიყვარულს მოითხოვს, ვეცდები ღირსეული ქმარი გიშოვოო. მეორე დღეს ზინიარმა ნახა საბრალო ქალი გულში დანა ჩარჭობილი კარებში ეგდო.

—

ამის შემდეგ იმან სრულებით ხელი აიღო კეთილ საქმეზედ და ფიცულობდა, რომ ამას იქით იმითაც კმაყოფილი დარჩება, რომ სხვას ბოროტობა დაუშალოს.

ცოტა ხანს შემდეგ შემთხვევით შეატყო ერთს თავის მეგობარს, რომ იმას განუზრახავს ავაზაკობის მოხდენა. რასაკვირველია ზინიარს შეეძლო პოლიციისთვის გამოეცხადებინა, მაგრამ ამჯობინა არ დაეღუპა დაქნაშავე და თითონვე დაემალა ეს საქმე. ამის გამო გულ-მოდგინეთ მიიღო მონაწილეობა მეგობრისაგან განზრახულ საქმეში, დაწვრილებით შეიტყო ყველაფერი და ელოდა იმ წუთს, როდესაც მოესწრობა ამ კაცის განზრახვის მარჯვედ ჩაშლას. მაგრამ ზინიარისაგან შებრალებული „მეგობარი“ ძალიან კარგად მიხვდა იმის აზრს და ისე მოხერხებით მოიყვანა თავისი საქმე და ავაზაკობა მოახდინა, რომ თითონ თავი დაახწია და თავის მაგიერ კონსტანტინე ზინიარი მახეში გააბა.

—

პროკურორისაგან წარმოთქმული სიტყვა სწორეთ გამჭრიახობის ნიმუში იყო. მოიგონა ბრალდებულის მთელი სიცოცხლე, იმისი უბედური და საბრალო ყმაწვილობა; იმისი ღირსეულად დასჯა; იმის უსინიდისობა ეგზამენების დროს; შეუპოვარი ქურდობა; საზიზღარი ყოფა-ქცევა ტუსაღების არეულობაში, პაიენიდან გამოქცევა და საფრანგეთში სხვის სახელის დაჩემება.... ამის შემდეგ ორატორმა გამოიჩინა დიდი მჭევრმეტყველობა, რაცხდა უსინიდისობათ ამ კეთილ-მოსურნის თვალთ - მაქცობას; განკიცხავდა ამ ოჯახობის წამპილწველს, რომელიც თავის მწეცურ სიყვარულის დასაკმაყოფილებლათ აძლევდა ფულს ქმრებსა, რომ დამთვრალიყვნენ; ამ ცბიერ სათნო კაცს, რომელსაც სხვა-და-სხვა სავნებელი საჩუქრებით სახელი უნდა მოეპოვა; ამ ეშმაკს, რომელსაც თავი მოჰქონდა კეთილის საქმის მოყვარე კაცათ. სოცრად დაწვრილებით ჰშინჯავდა ამ ავაზაკის გარყვნილობას, მოიგონა, რომ ზინიარმა განგებ შიუსია ცოფიანი ძაღლები მეზობლებს და ისე უყვარდა სიბოროტე, რომ არა ზოგავდა თავის-თავს სასიკვდილოთაც: შეაყენა გაქანებული ცხენი მხოლოდ იმიტომ, რომ შეექცეს იმის ცქერით, თუ როგორ შევარდება ის გროვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ძნელი ის არის, რომ მგზავრის სიცოცხლე ამ გზაზედ ბეწვზედ ჰკიდია. ან ტროიკა გვერდებს დაგიმტვრევს, ან ალაგზედ დაგიშვებს, დაგბეჟავს, დაგჭეჭყავს და სამარის კარამდე მიგიყვანს, ვიდრე შენს გზას გაივლიდე, თუ გადაურჩი ყველა ამას, სტანციებზედ მოსამსახურე პირთ ლანძღვა-გინებას ხომ ვერ გადურჩები.

მე თვითონ მინახავს, რომ მგზავრთან სტაროსტას ანუ სტანციის მოსამსახურეებს კინკლაობა მოსვლოდეთ. თუ საჩუქრათ 10 კ. მაგივრად 15 კაპ., აბაზი, ან 25—30 კაპ. არ უბოძე იამშჩიკს, იცოდეთ, რომ დედამამა გინებით საფლავიდამ ამოგელებათ იქვე პირში. ხშირად ამას მოსდევს სიტყვებით კრივი, რომელიც ადვილად მუშტის კრივად გადაიქცევა ხოლმე.

სტანცია ანუ სანეხვე ამ ტრაქტზე ჰქვიან ერთს მყრალს, დაჭვარტლებულს; მტვერით სავსე ოთახს, რომელშიაც სდგას ძველი და მტვერიანი, ქოწიათ გალესილი სტოლი და დამტვრეული სკამები, რომელნიც სავსე არიან მკბენარებით.

ამ მწერიმალ ფეხობას მგზავრმა უეჭველად ხარჯი უნდა გარდაუხადოს.

ხორაგეულის ვაჭრობაზე ხომ ლაპარაკი აღარ უნდა. თბილისში კიტრები თითო კაპეიკათ იყიდება, კახეთის შუა გულში, ლოკბის სტანციის დუქანში აბაზათ რვა, აბაზიანი ღვინო ორ აბაზათ; სიღნაღის ესრედ წოდებულ „გოსტინიცაში“ რუსების კვასის მზგავსი ღვინო ბოთლი 40 კ. თუ გნებავთ გაიგოთ, რა არის ეს გოსტინიცა, შედით კისერას ბაკის გვერდით რომ დუქანი არის იმაში, მაშინ თქვენ თვალ-წინ დაგეხატებათ სიღნაღის სასტუმრო, რომელსაც სასტუმრო მხოლოდ მიტომ ჰქვიან, რომ დააცარიელოს თქვენი მგზავრის ჯიბე.

ეხლა მეც ამ გზაზედ გახლავართ, რასაკვირველია, ვერც მე ავსცილდი ხსენებულ განსაცდელს. ეს ხომ ესრეა, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ამ გაბოროტებაში, ამ სულის წვალებაში კაცს ამხიარულებს, ახარებს და ცუდ აზრებს უქარვებს სიღნაღური მინდვრების ღელვა, ხალხის სიმხიარულე და ბეჯითობა. ამისთანა სიმხიარულე მე არას დროს არ მინახავს ამ მინდვრებში. ქალი, კაცი, ახალგაზდა და პატარა ბავშვები დასტრიალებენ თავის ყანას რომელიც ეხლა ოდოშია. ზოგი აქ მარგლის, ზოგი იქ მარგლის, ზოგი ბალახს სთიბავს, ზოგი თივას აგროვებს, ზოვი ქერსა მკის, ყმაწვილები ქღავილ-ქღუვილით სტვენენ ლხენით უდგანან ხარ-კამეჩს და სხვა საქონელს, რომ ყანები არ გააფუჭებინონ; ქერი ფუთი მანეთზე ჩამოვარდა. ყველა ფაცაფუცშია, ყველა მოძრაობს, ირჯება, საქმეს აკეთებს. უწინ ამისთანა წელიწადები ძნელად ასცილდებოდა აქაურობას და ხალხიც მეტად მდიდარი იყო. ახლა კი ამისთანა წელიწადი ქიზიყისთვის არ დამდგარა ამ 40—50 წლ. განმავლობაში მაინც. სადაც შარშან დამწვარი ბალახ-ბულახი იყო, წრეულს მშვენიერი, მაღალი ყანით, ქერით ან ახალი ფეტვით არის შემოსილი.

სადაც შარშან გამხმარი ვაზების მეტი არა მოსჩანდა რა, ახლა მშვენიერი, მტევნებით შეყურსული ბაღი მოჩანს. თვით ხალხი დაჩაგრული, გაღარიბებული, უსულო, უგულო, გამხდარა: „იგივ მხნე, იგივ მომლხენი, ერთგული თავის ქვეყნისა.“

მ. ჯანაშვილი.

## ქართული თეატრი

კვირას, არწრუნის თეატრში ქართულმა თეატრის დასმა წარმოადგინა ორი ახლათ გადმოკეთებული კომედია და ერთი ძველი ვოდევილი; ამას მოჰყვა დივერტისმენტი, რომელშიაც სხვათა. შორის მიიღო მონაწილეობა არტისტმა ბ. ქორიძემ.

ვიტყვით ორიოდ სიტყვას ბ. მოჩხუბარიძის გადაკეთებულ კომედია—ვოდევილზე „ორი ქორწილი ერთად.“

მოქმედება წარმოსდგება სოფელში. ერთს ხნიანს სამსახურიდამ გამოსულს მაიორს (ქ. ყიფიანი) ჰყავს ქალი ნუცა (ქორინთლის ქალი), რომელსაც უყვარს ერთი ახალ-გაზდა კაცი, ბიორგი პეტრიაშვილი (ა. ცაგარელი). მამა ნებას არ აძლევს ამათ დაქორწინებისას და ძლიერ ემუქრება ბიორგის: სახლში აღარ შეგიშვებო. მაიორს მხედველობაში ჰყავს თავის ქალისათვის ერთი მდიდარი თავის ძველი ამხანაგი ვასილ ხერხაძე (ბ. შიშნიევი), რომელსაც მოელის სოფელში. ბიორგი და ნუცა ძლიერ მწუხარებაში არიან, მაგრამ ნუცას მამიდა მარი (ბაბუნიას ქალი) ცდილობს ეს უსიამოვნო ამბავი თავიდამ აიცილოს. ის ურჩევს როგორმე მოატყუილონ მაიორი. მაიორის რჩევით, ბიორგი უცხადებს, მაიორს, რომ მითომ მას მარი ძლიერ შეჰყვარებია და სიტყვაც ჩამოურთმევია, რომ თანახმა გახდება გათხოვებაზე. მაიორს, რასაკვირველია, ძლიერ იამება ეს ამბავი და სულ იმაზე ფიქრობს, რომ ორი ქორწილი ერთ დღეს გადვიხადოო; ვასილ ხერხაძე ხომ მოვა და ჩემს ნუცაც გამითხოვდებაო. ამ დროს ამხანაგიც მოხდის მაიორს. საქმე ისე ხერხდება, რომ ხერხაძეს მაიორის და, მარი, ნუცა ჰგონია, ეალერსება იმას და ათავებს იმით, რომ შერთვის სურვილს უცხადებს, ნუცა კი მიაჩნია თავის საცოლოს, მამიდა და მუხლ-მოდრეკილი სთხოვს ქორწინების ნება მოგვეციო. ამ დროს შემოვა ბიორგი და დაიწყებს ლანძღვაგინებას: „შენ ვინ და ნუცა შეირთოო; შენ ნუცა გიყვარსო!“ ერთი აყალმაყალი ჩამოვარდება იმათში, გამოითხოვენ ერთმანეთს დუელში, მაგრამ ბოლოს საქმე თავდება იმითი, რომ ერთს დღეს ორს ქორწილს ერთათ ახერხებენ: ვასილ ხერხაძე ირთამს მარის, ბიორგი—ნუცას.

ამისთანა ფარსს, რასაკვირველია, არ მოეთხოვება ხელოვნური გამოხატვა ჩვენი ცხოვრებისა ან რამე აზრის დამტკიცება. მაგრამ ამისთანა ფარსს არ შეგვიძლიან არ მოვთხოვოთ კარგი მარილიანი ენა და იმის წარმოდგენას — სიცხოვლე. ვნახოთ მარილიანი ენა აქვს ბ. მოჩხუბარიძეს და ცოცხალი თამაშობა აქვთ ჩვენ აქტიორებს თუ არა?

„ორი ქორწილი ერთათ“ დაწერილია ქართულ სიტყვებით და რუსულ ფრაზებით. დავასახელებთ მაგალითებს: ბიორგი ამბობს ერთს ადგილას: „ჩემით ხომ ითამაშეთ,“ ეს გახლავთ სიტყვიერათ გადმოთარგმნილი რუსული წინადადება. ან ეს როგორ მოგწონთ: ნუცა ამბობს: „ათასი ურიგობა მომაყარა ჯორის წიხლებივით“ ან კიდევ „ქალალდში თამაშობა“. ეს რამდენიმე ნიმუში ბ. მოჩხუბარიძის მარილიანის ენისა, მგონია, საკმაო იყოს, რომ გაიგოთ თუ როგორ არის ნათარგმნი ხსენებული პიესა. მთარგმნელისაგან შეგვიძლიან მოვითხოვოთ მხოლოთ ისა, რაშიც ძლიერ ბორძიკობს ბატონი მოჩხუბარიძე, მაშასადამე კარგი მთარგმნელი ყოფილა!

ამ პიესაში ყველაზე ნიჭიერათ ითამაშა იმერლის პაწაწა როლის ამსრულებელმა ბ. მესხიმ 2. ჩვენ იმას ვხედავთ მეორეთ და ეხლავე გაბედვით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ნიჭიერი

---

ხალხში, გასთელავს უძლურ ბერიკაცებს, სუსტ დედა-კაცებს და საბრალო ყმაწვილებს. ასეთი ამოსავარდნელი ამაზედ უარესსაც ჩაიდენს! უეჭველია, ათასი ამისთანა დანაშაულობა მოუხდენია, მაგრამ საქვეყნოთ კი არ გამოჩენილა. ეჭვი არ არის, რომ ამას შესყიდული ჰყავნდა ის რეკრუტი, რომელმაც უღალატა სამშობლოს. მოიგონეთ კიდევ ის ობოლი, რომელიც მაგან გაზარდა და მერე მაგის კარებ-წინ ნახეს მკვდარი? სხვა ვინ მოახდენდა ამ საზარელ კაცის-მკვლელობას, რომლითაც შესრულდა სამარცხვინო, გამრყვნელი და დამაჩირქიანებელი საქმე! ზანა ამისთანა საშინელ ავკაცობის შემდეგ კიდევ საჭიროა, რომ ვთქვათ რამე უკანასკნელს დანაშაულობაზედ? ყველა გამამტყუვნებელი საბუთები თვალ წინა გვაქვს, თუმცა ბრალდებული შეუპოვრათ უარზედა სდგას. მაშასადამე ეს კაცი დასჯილი უნდა იყოს კანონისა-მებრ მკაცრად. სიკვდილით დასჯა სრულებით სასტიკი არ იქნება. აქ ჩვენ ვლაპარაკობთ ერთს იმ საშინელ ფარისეველ ავ-კაცზე, რომლის დანახვაზედ ჩვენ აღარა გვწამსრა არც კაცობრიობისა და აღარც სიკეთისა.“

რას იტყოდა ბინიარის ადვოკატი ამ პროკურორის სიტყვების შემდეგ, თუ არ იმას, რომ ბრალდებული გიჟია. რაც კი შეეძლო, ცდილობდა დაემტკიცებინა ეს აზრი; ამბობდა რომ სხვა-და-სხვა სნეულებისაგან წარმოსდგება ამ კაცის დანაშაულობა; მოჰყვა უბოლოვოდ განსჯას ადამიანის ძარღვების მოყვანილობაზედ; ბრალდებულს სახავდა რეგვენად, რომელსაც არა მოეთხოვება-რა და იმითი დააბოლოვა თავისი ლაპარაკი: „ამისთანა კაცებს, როგორიც არის კონსტანტინე ბინიარი, უფრო ეჭირება წამლობა, ვიდრე სიკვდილით დასჯა.

ერთ-ხმათ კონსტანტინე ბინიარს გადუწყვიტეს ჩამოხრჩობა.

ამის პასუხათ მოისმა ალტაცებით ტაშის კვრა თითონ იმ კეთილის კაცებისაგან, რომელთაც ისე ეზიზღებათ ყველა დანაშაულობა, რომ ჰკარგამენ თავის კაცობრიობას:

—

კონსტანტინე ბინიარის სიკვდილი, როგორც იმის ყმაწვილობა, იყო სამაგალითოდ საუბედურო. სახრჩობელაზე ავიდა დინჯათ, უშიშრად, ისეთი დამშვიდებულისა და განწმენდილის სახით, როგორც დამშვიდებული და განწმენდილი ჰქონდა სინიდისი. ეს სიმშვიდე ხალხმა იმის ბრიყვულ უგულობას დააბრალა. ბინიარმა იცოდა, რომ ჯალათი ღარიბია და დიდი სახლობა ჰყავს და უკანასკნელს წუთს წასჩურჩულა, „მთლათ ჩემი ქონება შენთვის მიანდერძნია.“ ამ ამბავმა ისე გადარია ჯალათი, რომ სამჯერ შეუდგა საქმეს, ვიდრე თავის მოკეთეს ჩამოახრჩობდა.

—

სამის თვის შემდეგ კონსტანტინე ბინიარის ერთი მეგობარი დაბრუნდა შორის მოგზაურობიდამ და შეიტყო მწუხარე ბედი იმ სინიდისით სავსე კაცისა, რომლის ნამდვილი ღირსება მარტო ამან იცოდა. ცოტათიც არის უწყალო ბედის უსამართლობის გასასწორებლად, ამ მეგობარმა იყიდა ალაგი სასაფლაოზედ, შეუკვეთა მშვენიერი მარმარილოს ძეგლი და თითონვე დასწერა და მისცა ამოსაჭრელათ ქვაზე შემდეგი სიტყვები:

„აქა მარხია გვამი კეთილის კაცისა, კონსტანტინე ბინიარისა.“

მეორე დღეს ამ კაცს უცბათ წვეთი მოუვიდა და გარდაიცვალა; მაგრამ რადგან ფული სრულად მიცემული ჰქონდა, სიკვდილით დასჯილს მაინც ძეგლი აუგეს. იმ ქვის მთლელმა, რომელსაც ქვაზედ ასოები უნდა ამოეჭრა, არ იცოდა კარგად კითხვა და ერთგან ამოჭრის დროს, ასოს კ-ს თავი ცოტა მომეტებულად მოუკაუჭა და ეს პატიოსანი კაცი სიცოცხლის დროს წამებული, სიკვდილის შემდეგაც ქვემო მოყვანილ სიტყვებით არის მოხსენებული:

„აქა მარხია გვამი კეთილის ვაცისა, კონსტანტინე ბინიარისა.

ა. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიორია. იმას უმნიშვნელო როლი ჰქონდა, მაგრამ ეს როლი ისეთი გაალოცხლა და სინამდვილე მისცა მას, რომ ჩვენ სხვა მოთამაშენი დაგვავიწყა. ბ. მესხის შემდეგ ყველაზე კარგათ თამაშობდა ბაბუნიას ქალი, თუმცა ნაკლულევანებაც ჰქონდა. ახალ-გაზდა ქვრივის, მაიორის დის როლი ბაბუნიას ქალმა ვერ აასრულა ერთგვარ სინამდვილით თავიდამ ბოლომდე, და ამიტომაც ჩვენზედ შთაბეჭდილება იქონია იმის ზოგიერთმა სცენამ და არა მთელმა როლმა. ის კითხულობს სწორეთ და კითხვის დროს სახესაც წესზედ ათამაშებს, მაგრამ, როცა სხვები ლაპარაკობენ, ეტყობა, რომ ყურს არ უგდებს და აღარ თამაშობს. ჩვენთვის სასიამოვნო იქნება, რომ ჩვენმა ნიჭიერმა პრიმადონნამ ამ შენიშვნას ყურადღება მიაქციოს. ვიტყვი ორიოდ სიტყვას ბ. კ. ყიფიანზედაც. ამას რომ ერთი ხრონიკული სნეულობა არ სჭირდეს, ე. ი. როლის უცოდინარობა, უსიამოვნო აქტიორი არ იქნებოდა. როცა აქტიორმა არ იცის როლი, მაყურებელი სრულობით ილლიუზიას ჰკარგავს და შთაბეჭდილება რჩება უსიამოვნო.

„ორი ქორწილის“ გარდა წარმოდგენილი იყო ვოდევილები: „რა ჭირს გადავეკიდე“ და „ბნელ ოთახში“.

პირველ ვოდევილში მიიღეს მონაწილეობა ბ.ბ. კ. ყიფიანმა და მოხევემ. ბ. მოხევე უთუოთ პირველათ თამაშობდა: არ იცოდა როგორ დაედგა ფეხი სცენაზე და სულ ბ. ყიფშიძისკენ იყურებოდა. ვოდევილში „ბნელ ოთახში“ ძალიან კარგათ ითამაშა საფაროვის ქალმა. სასურველია მხოლოდ, რომ ამ აქტრისამ მეტი მოძრაობა გამოიჩინოს ამ გვარ როლებში.

წარმოდგენა გათავდა დივერტისმენტით: ბ. ქორიძემ ალტაცებაში მოგვიყვანა თავის სიმღერით და ბ. მოხევემ შეგვაშინა თვალების ბრიალით და ხანჯლების ტრიალით.

დამსწრე.

---

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში

## ა ლ ე ქ ს ი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

(6—5)

---

პატენტიანი შჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—16)

---

პარუსინა, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

მურაბა გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

კარბოლის პაროშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—13)

---

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარსავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვაძლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*'-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისამებრ.

ჩვენის მაშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

# კანტორა

ოდესის ვაჭრის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჭიადულობის და ჭვიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონლისა.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკების, ქარხნების და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჭვიდის და ჭიადულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმლო და კოლონიალურ საქონელს.

(30—19)

---

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოიცემა გასასყიდად

ახალი წიგნი

ს ა მ წ ე რ ლ ო

# თაიგული

გამოცემული ილია ჭყონიასაგან.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I. ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. IV მ... სადმი (ლექსი) გ—სა. V. ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. VII ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილსისა VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხთი შაური გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---



გამოვიდა და ისყიდება.

# ყარამანიანი

მეცამეტე კარი

ისყიდება მელიქიშვილის სტამბაში სოლოლაკზე და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი აბაზი

(5—5)

---

ჩ ა ი! ჩ ა ი! ჩ ა ი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?— არწრუნის ქარვასლაში.

(20—16)

---

სოფელში და მოგზაურთათვის

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეტები, ციტრატმაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

—

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—17)

---

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები ისყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შზოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—28)

---

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ახლა 2 მაეთად ღირს.

(100—13)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 1 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი